პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 91 (3575)

11 მაისი, 1968 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.




I ჯგუფი „ა" კლასი

სსრ კავშირის პირველობა

●

„ტორპედო" (მოსკოვი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:0
„კაირატი" (ალმა-ათა) — „პახტაკორი" (ტაშკენტი) 4:1
„დინამო" (კიევი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:2
„დინამო" (მინსკი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 2:1
ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 2:1
„ზარია" (ლუგანსკი) — „შახტიორი" (დონეცკი) 3:1
„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 2:0

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 7 | 4 | 3 | 0 | 11—5 | 11 |
| „დინამო" (კიევი) | 8 | 3 | 5 | 0 | 9—4 | 11 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 7 | 4 | 1 | 2 | 8—2 | 9 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 7 | 4 | 1 | 2 | 11—7 | 9 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 8 | 3 | 3 | 2 | 9—6 | 9 |
| ცსკა | 7 | 2 | 5 | 0 | 7—4 | 9 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 7 | 3 | 3 | 1 | 5—3 | 9 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—7 | 9 |
| „დინამო" (მინსკი) | 7 | 3 | 2 | 2 | 6—3 | 8 |
| „დინამო" (თბილისი) | 7 | 3 | 2 | 2 | 5—3 | 8 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 7 | 1 | 5 | 1 | 7—6 | 7 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 8 | 2 | 3 | 3 | 6—7 | 7 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—7 | 7 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 7 | 1 | 4 | 2 | 8—10 | 6 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 7 | 2 | 1 | 4 | 6—7 | 5 |
| „არარატი" (ერევანი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—7 | 5 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 8 | 2 | 1 | 5 | 8—14 | 5 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 8 | 0 | 5 | 3 | 6—13 | 5 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 7 | 1 | 2 | 4 | 2—8 | 4 |
| ასკ (როსტოვი) | 7 | 0 | 3 | 4 | 7—14 | 3 |



საქართველოს 1968 წლის ჩემპიონები აკრობატულ ხტომებში. სოხუმელები ა. პოლოსიანი (მარჯვნივ) და გ. შონია.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

სსრ კავშირის თასი

## შემდგომ ეტაპზე

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების წინასწარი შეხვედრები. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ბათუმის „დინამომ" დაამარცხა ვოლგოგრადის „ტრაქტორი" (1:0) და საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მიიღო.

აი, როგორ დამთავრდა სხვა მატჩები: „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — ასკ (ლვოვი) 2:0, „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „ხიმიკი" (სევეროდონეცკი) 1:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „ავტომობილისტი" (ჟიტომირი) 3:2, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:1, „სუდოსტროიტელი" (ნიკოლაევი) — „სოკოლი" (სარატოვი) 1:2, „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:2.

ამრიგად, წინასწარ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი გავიდნენ თასის გათამაშების შემდგომ ეტაპში, სადაც ისინი შეხვდებიან I ჯგუფის გუნდებს: „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „დინამო" (მინსკი), „დინამო" (ლენინგრადი) — „შახტიორი" (დონეცკი), „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დინამო" (მოსკოვი), „სოკოლი" (სარატოვი) — „არარატი" (ერევანი), „სტროიტელი" (უფა) — „ნეფტჩი" (ბაქო), „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა), „დინამო" (ბათუმი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი).

◆ **ლონდონი, 9 მაისი.** „ლომებო", არ ეთამაშოთ რასისტებს" — ასეთი წარწერით პლაკატი მოჰქონდათ სამხრეთ აფრიკასა და როდეზიაში არსებული რასისტული რეჟიმის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილეებს. დემონსტრანტებმა მაშინ ჩაუარეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ლონდონის წარმომადგენლობას, როცა აქ მიღება ჰქონდათ ინგლისის რეგბისტთა გუნდის „ლაიონსის" („ლომები") მოთამაშეებს, „ლაიონს" გადაწყვეტილი აქვს ტურნე გამართოს სამხრეთ აფრიკასა და როდეზიაში.

◆ **ლისაბონი, 10 მაისი.** გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივი „ბენფიკა" შეხვდა იტალიის „იუვენტუსს". გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა — 2:0. გოლების ავტორები არიან ტორესი და ეუსებიო.



## დღეს — VIII პარტია

**ბელგრადი, 10 მაისი.** იუგოსლაველი დიდოსტატის ავადმყოფობის გამო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი მ. ტალსა და ს. გლიგორიჩს შორის დროებით შეწყდა.

7 პარტიის შემდეგ წინაა ტალი — 4:3. VIII პარტია შედგება შაბათს, 11 მაისს. თეთრებით ითამაშებს გლიგორიჩი.

## კორჩნოიმ იყოჩაღა

**ამსტერდამი, 10 მაისი.** მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ვ. კორჩნოისა და ს. რეშევსკის შორის უკვე ორი პარტია გათამაშდა.

I პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ, თუმცა ბრძოლამ ორ დღეს გასტანა. II პარტიაში კორჩნოიმ (თეთრებით) დიდი შეუპოვრობა გამოიჩინა და უპირატესობაც მოიპოვა. პარტია გადაიდო და დღეს რეშევსკიმ დათმო იგი.

მატჩის ანგარიშია 1,5:0,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

## ლარსენმა კვლავ მოიგო

**პორეჩი, 10 მაისი.** მწვავე ბრძოლით აღინიშნა ბ. ლარსენ — ლ. პორტიშის მატჩის III პარტია. დანიელი დიდოსტატი უფრო ენერგიულად თამაშობდა და გაიმარჯვა კიდეც.

ამრიგად, ორთაბრძოლის ანგარიში გახდა 2,5:0,5 ლარსენის სასარგებლოდ.

## საზეიმოდ გაიხსნა

გუშინ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ქალთა V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ნ. ჟვანიას გამოსვლის შემდეგ, ტურნირის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის ექსჩემპიონი ნ. ალექსანდრია.

ტურნირის მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ლ. წეროძემ მონაწილენი კენჭისყრაზე მიიწვია. აი, როგორ განლაგდნენ ისინი სატურნირო ცხრილში:

1. ნ. ხუბულური, 2. ც. კობაიძე, 3. საერთაშორისო ოსტატი კ. ვრეკენი (ჰოლანდია), 4. ოსტატი ე. ხიუნჰერტი (გდრ), 5. მ. სანაძე, 6. საერთაშორისო ოსტატი ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), 7. საერთაშორისო ოსტატი კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), 8. ოსტატი ე. კაკაბაძე, 9. ოსტატი ჟ. ვერეცი (უნგრეთი), 10. ც. კახაბრიშვილი, 11. საერთაშორისო ოსტატი ქ. რაძიკოვსკა (პოლონეთი), 12. თ. ხუგაშვილი, 13. ოსტატი კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი), 14. საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, 15. საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია, 16. საერთაშორისო ოსტატი ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი).

ტურნირი გაიმართება რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში. დღეს დილის 11 საათზე შედგება I ტური.




**საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 13 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თ. ლომაია — 11 ქულა, ზ. მიქაძე — 9,5 (1), ბ. გურგენიძე — 9,5, რ. ჯინჯიხაშვილი, ა. ბოკუჩავა — 9—9, ე. უბილავა 8 (1).**

## ვინ იქნება ჩემპიონი?

გადადებული პარტიების დამთავრება. XII ტური: გ. მუკნიაშვილი (გორი) — გ. კალატოზიშვილი 0:1. XIII ტური. შ. თოთლაძე (გორი) — ბოკუჩავა 0:1, კალატოზიშვილი — ს. მეგრელიშვილი 0:1, გურგენიძე — ჯინჯიხაშვილი 0,5:0,5, ლომაია — გ. მაჭავარიანი 1:0.

მოლოდინი, რომ გურგენიძე — ჯინჯიხაშვილის შეხვედრა შეურიგებელი იქნებოდა, არ გამართლდა. მიტელშპილში ჯინჯიხაშვილმა პაიკის შეწირვით სცადა ბრძოლის გამძაფრება, მაგრამ გურგენიძე მას არ აჰყვა. ზედმეტი პაიკი იოლად იკარგებოდა და ამიტომ მან ახალგაზრდა ოსტატს თითქმის ყველა ფიგურის გაცვლა აცალა. 30-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

სწორედ მაჭავარიანის პოზიციურ სტილს შეჰფერის ცნობილი ქართველი ოსტატის ა. ებრალიძის სისტემა, რომელიც მან ლომაიას შესთავაზა ჩეხურ დაცვაში. თანდათან ნათელი შეიქმნა, რომ მაჭავარიანი ამ სისტემას მხოლოდ ზერელედ იცნობდა. მხედრების გადაჯგუფებით, იერიშში ლაზიერის ჩაბმით ლომაიამ მრისხანე შეტევა წამოიწყო. მაჭავარიანის ფიგურებს შორის ურთიერთკავშირი დაირღვა და ერთპიროვნულმა ლიდერმა მყისვე ისარგებლა ამით. 25-ე სვლაზე ეტლის ან მხედრის გარდუვალი დაკარგვის გამო, მაჭავარიანმა საათი გააჩერა.

საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა მეგრელიშვილმა კალატოზიშვილთან პარტიაში. კომბინაციური იერიშისთვის სპეციალური პრიზი რომ არსებობდეს, მისი იერიში ალბათ ამ ჯილდოს დაიმსახურებდა.

ესპანური პარტიის (მ. ჩიგორინის სისტემა) დასაწყისში კალატოზიშვილმა მეტოქეს თეთრუჯრედოვანი კუ გააცვლევინა, რაც სტრატეგიული შეცდომაა. ჯერ ცენტრში დარტყმით, მერე პაიკის შეწირვით მეგრელიშვილმა მძლავრად დალაშქრა მეტოქის მეფის პოზიცია. კალატოზიშვილმა არც ლაზიერი დაიშურა, რათა მომხდურისაგან თავი დაეღწია, მაგრამ ამაოდ.

თოთლაძემ ბოკუჩავასთან დაუკვირვებლად ითამაშა და მალე უფიგუროდ დარჩა.

სხვა პარტიები გადაიდო. ლაზიერების თანაბარ ენდშპილში შეწყდა მიქაძე — უბილავას პარტია.

**თ. გიორგაძე.**



# სტუდენტთა თამაშები

**სტუდენტთა VI რესპუბლიკური თამაშების პროგრამით შეჯიბრებები დამთავრდა კიდევ რამდენიმე სახეობაში. დღეს გაგაცნობთ წყალბურთელების, სამბისტების, მძლეოსნების, ველოსიპედისტების, მოფარიკავეებისა და წყალში მხტომელების ასპარეზობათა შედეგებს.**

## ... ასე ფონს ვერ გახვალ

წყალბურთელთა ტურნირში მხოლოდ ოთხი კოლექტივი ჩაება — სპი-ს, თსუ-ს, ფიზკულტურისა და სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტების წარმომადგენლები. I ადგილი დაუმარცხებლად დაიკავეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალბურთელებმა. მათ ჯერ უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხეს (5:2), შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი (10:0), ბოლოს კი სოხუმელები (6:0). ჩემპიონებმა 21 გოლი გაიტანეს და საკუთარ კარში მხოლოდ 2 მიიღეს. II ადგილზე გავიდა უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც ორი გამარჯვება მოიპოვა: სოხუმელებთან (15:0) და ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივთან (9:3). ერთი გამარჯვებით III ადგილზეა ფიზკულტურის ინსტიტუტი (დაამარცხა სოხუმელთა გუნდი — 10:4).

სოხუმელები სამივე მატჩში სასტიკად დამარცხდნენ. საერთოდ, ჰქონდა კი აზრი ამ ტურნირში მათ მონაწილეობას? სახელდახელოდ დაკომპლექტებული გუნდით ფონს გასვლა ძნელია.

## არიან კარგი მხტომელები, მაგრამ...

პირველობისთვის ხუთი უმაღლესი სასწავლებლის 16 წყალში მხტომელი იბრძოდა. გუნდური შეჯიბრება მოიგო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (44 ქულა). II ადგილზე გავიდნენ სპი-ს (23), III — თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის (10), IV — თსუ-ს (6), V — სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის (4) წარმომადგენლები.

ასპარეზობის მონაწილეთა შორის 13 თანრიგოსანი იყო. მათგან თერთმეტმა ამ შეჯიბრებაში კვლავ სათანრიგო ნორმატივები აჩვენა, ერთმა კი პირველად შეასრულა II თანრიგის ნორმატივი. ეს არც თუ ცუდი შედეგია.

პირად პირველობაში გამარჯვებულები: **ქალები. 3-მეტრიანი ტრამპლინი.** ა. ნუდელი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), **კოშკი.** ლ. კაზანცევა (სპი); **ვაჟები. 3-მეტრიანი ტრამპლინი.** ა. ბართაია, **კოშკი.** ი. ოსინინი (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ტურნირის მთავარი მსაჯის ვ. გაიკოვის აზრით, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს კარგი მხტომელები ჰყავთ, მაგრამ მათ უფრო დაოსტატებას დიდად უშლის ხელს წვრთნის სათანადო ბაზების უქონლობა. სპორტსმენებს სისტემატურად მეცადინეობის შესაძლებლობა არა აქვთ.

## ს. მიაჩკოვა — უცვლელად პირველი

მონაწილეთა დიდი რაოდენობა ვერც ტრეკზე ველორბოლამ მიიზიდა. ასპარეზობდა ოთხი უმაღლესი სასწავლებლის 23 სპორტსმენი. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა ფიზკულტურის ინსტიტუტი (21 ქულა). დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: სპი (17), თსუ (16), პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი (3).

გამოთიშვით 3 კილომეტრზე ვაჟთა რბოლაში პირველობა მოიპოვა უნივერსიტეტის გუნდმა (პოპოვი, ზირაქიშვილი, სტაშევსკი) — 49,9. ქალებში ამავე დისტანციაზე იმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის სამეულმა (მიაჩკოვა, სტოლეტნაია, სენკოვა) — 59,1.

გამოდევნებით 4 კილომეტრზე ვაჟთა ინდივიდუალურ რბოლაში უძლიერესი იყო ვ. პოპოვი (თსუ) — 5.32,4. შეჯიბრების მონაწილე 8 სპორტსმენიდან მხოლოდ მან აჩვენა II თანრიგის შედეგი. გამოდევნებით 3 კილომეტრზე ქალთა ინდივიდუალურ რბოლაში ყველას აჯობა ს. მიაჩკოვამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 4.39,6. მან II თანრიგის ნორმა აჩვენა, ხოლო მისმა ოთხმა მეტოქემ ჩათვლაც ვერ მიიღო.

ვაჟთა გიტში (1000 მეტრზე, ადგილიდან) II თანრიგის მაჩვენებლით (1.15,3) პირველი იყო ვ. პოპოვი. ამ თანრიგის ნორმატივი კიდევ ორმა სპორტსმენმა აჩვენა, ორმა III თანრიგის შედეგი მოიპოვა, ხოლო სამმა ჩათვლა ვერ მიიღო. ვაჟთა სპრინტერული რბოლა მოიგო თ. გელაძემ (სპი), ქალთა — ს. მიაჩკოვამ. როგორც ხედავთ, პირად პირველობაში გამარჯვებულთა მაჩვენებლებიც კი არ იყო სახარბიელო. გამონაკლისია მხოლოდ ს. მიაჩკოვა, რომელმაც გიტი (500 მ) I თანრიგის შედეგით დაამთავრა — 40,7. საერთოდ, სტუდენტთა ამ შეჯიბრებაში მიაჩკოვამ 4 პირველი ადგილი მოიპოვა.

## გორელებმა ყველა დაჯაბნეს

სარბიელზე შვიდი უმაღლესი სასწავლებლის 50 სამბისტი გამოვიდა. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ათლეტებმა გუნდურ შეჯიბრებაში ყველა დაჯაბნეს და სტუდენტთა თამაშების ჩემპიონობა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა სპი, III — ფიზკულტურის ინსტიტუტი, IV — თსუ, V — სამედიცინო ინსტიტუტი, VI — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, VII — ბათუმის პედინსტიტუტი.

პირადი პირველობისთვის ბრძოლაც გორელების აშკარა უპირატესობით წარიმართა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. ლაშხმა (სპი), ჯ. ხორბალაძემ, ი. იმერლიშვილმა, ს. ბახტაძემ, ვ. ბორჩაშვილმა, გ. ხინჩიკაშვილმა (ყველა — გორი), ნ. მუმლაძემ (სპი) და ვ. თანდილოვმა (გორი).

## მომავალ ინჟინერთა უპირატესობით

მოფარიკავეთა შეჯიბრებაში ათი უმაღლესი სასწავლებლის, — სპი-ს, თსუ-ს, კონსერვატორიის, ფიზკულტურისა და სამედიცინო ინსტიტუტების, ქუთაისის, თბილისის პუშკინის სახელობის, ცხინვალის, სოხუმის პედაგოგიური და სუბტროპიკული ინსტიტუტების წარმომადგენლები ჩაებნენ. გუნდური ადგილებიც ამავე თანმიმდევრობით განაწილდა.

პირადი პირველობისთვის ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენი რესპუბლიკის ბევრი მოწინავე მოფარიკავე სტუდენტია. საპრიზო სამეულები: **ქალები. რაპირა.** 1. რ. კეკელია (სამედიცინო ინსტიტუტი), 2. ნ. ჩახვაშვილი (თსუ), 3. ს. სვანიძე (სპი); **ვაჟები. რაპირა.** 1. თ. ზაუტაშვილი (თსუ), 2. ტ. გოშაძე, 3. რ. დევიძე (ორივე — სპი); **ესპადრონი.** 1. გ. ბახტაძე (სპი), 2. გ. ლორთქიფანიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), 3. დ. შარაშენიძე (თსუ). **დაშნა.** 1. შ. სულამანიძე (თსუ), 2. ო. საკანდელიძე (სამედიცინო ინსტიტუტი), 3. რ. გოშაძე (სპი).

„ლელოს" ბრიგადა.

# რატომ არ უყვართ „სპორტის დედოფალი"?

მას შემდეგ, რაც ჩვენში სტუდენტთა თამაშების გამართვა დაიწყო და ასპარეზობის პროგრამაში მძლეოსნობა შეიტანეს, საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტრომ, სპორტკავშირმა, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ უმაღლესი სასწავლებლების დირექციებს, ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებს ბევრჯერ უსაყვედურეს ამ სახეობაში ჩამორჩენა, რამდენჯერმე სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღეს, მაგრამ შედეგი ერთობ მცირეა — მძლეოსნობის მდგომარეობა მხოლოდ



ორიოდე სასწავლებელში გაუმჯობესდა.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზაღზრდის მასწავლებლებს მუშაობის ნორმალური პირობებიც არა აქვთ, მაგრამ ამ სასწავლებელმა სტუდენტთა წლევანდელ რესპუბლიკურ თამაშებში კარგი გუნდი გამოიყვანა და IV ადგილიც დაიკავა.

შეჯიბრებაში სრული გუნდებით ჩაებნენ აგრეთვე, უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები, აგრეთვე ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, გორის პედაგოგიურმა, თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და სოხუმის სუბტროპიკულმა ინსტიტუტებმა სარბიელზე სანახევროდ დაკომპლექტებული გუნდები გამოიყვანეს, ამასთან, ბოლო ორმა კოლექტივმა თბილისის „დინამოს" სტადიონზე გამართულ სამდღიან შეჯიბრებაში თითო ქულაც ვერ მიიღო.

პირადი პირველობისთვის ძირითადად უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მძლეოსნები იბრძოდნენ. მათ 31-დან მხოლოდ ორ სახეობაში დათმეს გამარჯვება. არც ტექნიკური შედეგები გახლდათ სახარბიელო. შეჯიბრების 180-მდე მონაწილიდან ერთმა აჩვენა სპორტის ოსტატის, ერთმა — ოსტატობის კანდიდატისა და 29 მძლეოსანმა — I თანრიგის შედეგი. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული ლ. ჩერნენკო (ფიზკ. ინსტ. — 140) და 800 მეტრზე რბენაში უძლიერესი ფ. ბეტეევა (ცხინვალი — 2.29,4) ძლივს შესწვდნენ III თანრიგს.

ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, რომ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ მძლეოსნებს (ისევე როგორც მოცურავეებს, ველოსიპედისტებსა და წყალში მხტომელებს) წინასწარ შეღავათი მისცა, როცა ჩასათვლელ ნორმატივად II თანრიგი დააწესა.

კიდევ ერთი დამაფიქრებელი მაგალითი: 100 მეტრზე (ქალები) და 400 მეტრზე თარჯრბენში მონაწილენი ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ გამოიყვანა, მთელი რიგი სახეობების სტარტზე კი თითო სპორტსმენი გამოვიდა. ასე იყო 110 და 200 მეტრზე თარჯრბენში, აგრეთვე, 10000 მეტრზე რბენაში. 800 მეტრზე კი მხოლოდ 2 ქალი იბრძოდა.

დებულება სტუდენტთა წლევანდელ რესპუბლიკურ თამაშებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ „ბურევესტნიკის" წევრებს აძლევდა. თამაშების ორგანიზატორებს ამ ღონისძიებით ალბათ თავიანთი საზოგადოების გაძლიერება სურდათ, მაგრამ სამანდატო კომისიამ სათანადო სიფრთხილე როდი გამოიჩინა, როცა სოხუმის, გორის, ქუთაისისა და სხვა გუნდებში „განთიადის", „ლოკომოტივის" და „დინამოს" სპორტსმენები დაუშვა.

ტურნირი არც მსაჯებით, ინვენტარითა და ბაზებით გახლდათ უზრუნველყოფილი. ჭოკით სახტომი ორმო მოუწყობელი იყო და მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ლ. გიორგაძემ ხიფათის თავიდან ასაცილებლად ეს სახეობა პროგრამიდან მოხსნა. დედაქალაქის ამ ერთადერთ სტადიონზე, სადაც მძლეოსანთა ტურნირის გამართვა ჯერ კიდევ შეიძლება, ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილი (შუბები, კალაპოტები, სიმაღლის საზომი და სხვ.) უვარგისია.

გაისად სტუდენტთა საკავშირო თამაშები ტარდება. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ თუ რაიმე არ იღონა, ჩვენი მძლეოსნები ამ დიდი შეჯიბრებიდან შერცხვენილი დაბრუნდებიან.

ნ. გიგოლაშვილი.

## გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები

**ქალები.** რბენა: 100 მ — ნ. ლომიძე (თსუ) — 12,5; 200 მ — ტ. სერდიუკოვა (ფიზკ. ინსტ.)—26,4; 400 მ — ლ. კორკოტაძე — 1 წუთი; 80 მ თარჯრბენი — გ. კონონენკო (ორივე — სპი) — 11,8; ესტაფეტა 4×100 მ — თსუ — 50,0; სიგრძეზე ხტომა — კონონენკო — 535; შუბის ტყორცნა და ბირთვის კვრა — ც. ლიპარტელიანი (სას-სამ. ინსტ.) — 45,06 და 11,64; ბადროს ტყორცნა — ვ. კომაროვა (ფიზკ. ინსტ.) — 42,38; ხუთჭიდი — ლ. შუმილინა (თსუ) — 4083.

**ვაჟები.** რბენა: 100 და 200 მ — ე. კონდრატიევი — 10,7 და 21,9; 400 მ — ა. ტეკშტრემი (ორივე — სპი) — 51,3; 800 და 1500 მ — ი. სოვეტკინი — 1.58,0 და 4.01,8; 5000 მ — ი. ცანავა (ორივე — ფიზკ. ინსტ.) — 15.24,6; 10.000 მ — ი. მიხაილჩენკო — 33.33,0; 110 მ თარჯრბენი — ზ. თავბერიძე (ორივე — სპი) — 16,5; 200 მ თარჯრბენი — ლ. ტვაიბა (სოხუმის პედ. ინსტ.) — 34,2; 3000 მ წინაღობებით—ცანავა—9.12,4; ესტაფეტა 4×100 მ—სპი — 44,0; ხტომა: სიმაღლეზე — პ. კრასნოვი (ფიზკ. ინსტ.) — 190; სიგრძეზე — ვ. ჩუკანოვი (თსუ) — 702; სამხტომი— თ. ცინცაძე (სას-სამ. ინსტ.) — 14,55; შუბის ტყორცნა — ნ. ზვიადაური 67,90; ბადროსა და უროს ტყორცნა — ვ. ჩერკაშინი (ორივე — სპი) — 44,04 და 57,36; ბირთვის კვრა — მ. ოყროშიძე — 17,05; ათჭიდი — ი. ჩირიკაშვილი (ორივე — თსუ) — 6407.

გუნდური შედეგები: 1. თსუ — 33.537 ქულა, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 27.203, 3. სპი — 26.814.

* * *

**სურათებზე:** ზევით — მ. ოყროშიძე. იგი ერთადერთი იყო, ვინც სტუდენტთა თამაშებში სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა; ქვევით — ი. ჩირიკაშვილი სიგრძეზე ხტომის დროს. ამ ჩემპიონმა კი ერთადერთმა აჩვენა სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგი.

ფოტო ო. გელაშვილისა.



# ხომ არ აჯობებდა?

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, „კავკასიის თასზე" ხელბურთელთა ტურნირში თბილისის გოგონათა ნაკრებმა ყველა მატჩი მოიგო, ქულათა მაქსიმუმი დააგროვა (6), თასი და ოქროს მედლები გაინაღდა. II ადგილზე გავიდა როსტოვის ნაკრები (3), III — სომხეთის გუნდი (3). ნოლი ქულით ბოლო ადგილზე დარჩნენ სტავროპოლელები.

ქალთა გუნდებში პირველობის პრეტენდენტები თბილისელი და როსტოველი ხელბურთელები იყვნენ. ოქროს მედლების ბედი თითქოს მათს შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ საგრძნობი უპირატესობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა და მატჩი ფრედ დამთავრდა — 14:14.

ბოლო ტურის წინ როსტოველებსა და თბილისელებს ქულათა თანაბარი რაოდენობა (3-3) ჰქონდათ, მეტოქე კი ორივე გუნდს სუსტი ჰყავდა. მოსალოდნელი იყო, რომ პირველობის ბედს ბურთების უკეთესი ბალანსი გადაწყვეტდა. ჯერ როსტოველებმა ითამაშეს — ერევნელებს დიდი ანგარიშით მოუგეს — 22:8 (8:3). როსტოველთა ბურთების ბალანსის დაჯამების შემდეგ გაირკვა, რომ თბილისელები I ადგილს იმ შემთხვევაში გაინაღდებდნენ, თუ, სულ ცოტა, 9 ბურთით მოუგებდნენ კრასნოდარელებს. მასპინძლებს ამ ამოცანის გადაწყვეტა არ გასჭირვებიათ — 25:5 (13:5).

ამგვარად, თბილისელებს ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით თასიცა და ოქროს მედლებიც ხვდათ. როსტოველები ვერცხლს დასჯერდნენ, ერევნელები — ბრინჯაოს. IV ადგილზე გავიდნენ კრასნოდარელები.

მედლებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ გუნდების მწვრთნელებიც, მათ შორის, თბილისელ ხელბურთელთა მწვრთნელები ჯ. ბაგრატიონი, ა. ბათმანოვი და ლ. სოროკინი.

ტურნირში მონაწილე გუნდების შეფებმა სტუმრად ჩამოსულ ხელბურთელებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. ამას გარდა, შეფებმა პრიზებიც დააწესეს. საუკეთესო მეკარეები დააჯილდოვა თბილისის ალმასკომის მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანებამ. ესენი იყვნენ: გოგონებში — თბილისელი ე. მერაბიშვილი, ქალებში — როსტოველი ტ. მალცევა. საუკეთესო ბომბარდირებს: გოგონებში თბილისელ ს. ახობაძეს და ქალებში ერევნელ ზ. სარქისიანს პრიზები გადასცეს მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" წარმომადგენლებმა. ტურნირის საუკეთესო მსაჯად სტავროპოლელი ვ. ლავროვი აღიარეს.

შეჯიბრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის ხელბურთის ფედერაციას (თავმჯდომარე ნ. ჟვანია). კარგად იმუშავეს შეფებმა. ჩვენს რესპუბლიკაში ქალთა ხელბურთი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული და ამგვარი ტურნირების ხშირად გამართვა უთუოდ დიდ სამსახურს გაგვიწევს.

მწვრთნელებმა ამ შეჯიბრებისთვის ორი კარგი კოლექტივი მოამზადეს. ხომ არ აჯობებდა „ა" კლასის II ლიგის გუნდებში საასპარეზოდ სწორედ ნაკრები კოლექტივი გაგვეგზავნა და არა რომელიმე სპორტსაზოგადოების გუნდი?

გ. ირინაული.

# დღესასწაულის აღსანიშნავად

ბათუმში დამთავრდა მძლეოსანთა საქალაქო ჩემპიონატი, რომელიც პირველი მაისის დღესასწაულსა და გამარჯვების დღეს მიეძღვნა. საუწყებათშორისო შეჯიბრების პროგრამა ქალებისთვის 9, ვაჟებისთვის კი 12 სახეობას ითვალისწინებდა.

100 მეტრზე ფინალურ გარბენში ყველას აჯობა ვ. არუთიუნიანმა („განთიადი") — 11,6 წამი. ე. მუხანოვმა (ბავშვთა სპორტსკოლა) მოიგო რბენა 400 (55,9 წამი) და 800 მეტრზე (2.13,2). ამავე გუნდის წარმომადგენელმა ვ. ბადენკომ ყველას აჯობა შუბის მტყორცნელ ქალებში — 25,16 მ. განთიადელი ნ. გაბოიძე პირველი იყო ბირთვის კვრაში.

სხვა სახეობებში „დინამოს" წარმომადგენლები პირველობდნენ. პ. მაქსიმოვმა სიმაღლეზე ხტომაში 160 სმ დასძლია, სიგრძეზე—613 სმ. სამ სახეობაში იმარჯვა ს. პონომარიოვამ: სიმაღლეზე ხტომა — 145 სმ, სიგრძეზე ხტომა — 514 სმ, ბირთვის კვრა — 10,68 მ. 100 და 200 მეტრზე რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა ნ. მაიოროვა (12,8 და 27,3). 15 წლის ო. შტუკატუროვამ ბადრო 34,01 მეტრზე ტყორცნა და გამარჯვება მოიპოვა. ი. ზუბოვს მეტოქე არ ჰყავდა 1500 (4.27,4) და 5000 მეტრზე (17.30,4) რბენაში. 200 მეტრზე დამაჯერებლად გაიმარჯვა ბ. ლეონოვმა — 24,5, 400 მეტრზე — ლ. ხელაძემ — 1.06,6. ი. ტრაპეზნიკიანმა ბადრო 35,15 მეტრზე ტყორცნა, ე. ურიანსკიმ კი შუბის ტყორცნაში 48,93 მ აჩვენა.

4×100 მეტრზე ესტაფეტაში გამარჯვება „დინამოს" ქალთა (53,4) და ვაჟთა (48,4) გუნდებს ხვდათ.

დინამოელებმა გაიმარჯვეს საერთო გუნდურ ჩათვლაშიც. II ადგილზე არიან ბავშვთა სპეციალიზებული მძლეოსნური სკოლის მოსწავლეები, III — სპარტაკელები.

სასიამოვნოა, რომ მძლეოსნურ ბილიკებზე გამოჩნდნენ „ვოდნიკის" საქართველოს ახლახან შექმნილი საბჭოს წარმომადგენლები.

ვ. მუსხელიშვილი.

ბათუმი.

ერევანი. რესპუბლიკური სტადიონი. 9 მაისი.
„არარატი" (ერევანი) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

„არარატი": დემირჩიანი, მეხროპიანი, აბრამიანი, აირაპეტიანი, ოვსეპიანი, ოვანესოვი (ბონდარენკო), ეგიაზარიანი, კაზანჯიანი, მელკუმოვი, ზანაზანიანი, კაზარიანი (აკოფოვი).

„დინამო": კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჰელიძე, ცხოვრებოვი, სიჭინავა (კუტივაძე), პეტრიაშვილი, ახათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია (ქიქავა), გავაშელი.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.





## ხსრ კავშირის პირველობა

# გადარჩენილი ქულა

პირველ ტაიმში მასპინძლებს გოლის გატანის სულ ცოტა 2 ნაღდი შესაძლებლობა ჰქონდათ. ჯერ იყო და კოტრიკაძეს სრულიად მოულოდნელად ბურთი ხელიდან გაუვარდა. მელკუმოვმა სხვებზე ადრე შენიშნა მეკარის შეცდომა და ბურთი ცარიელი კარისკენ გაგზავნა. კოტრიკაძე და მისი პარტნიორები სულგანაბული შესცქეროდნენ ბურთის მარშრუტს, რომელიც იღბლად ბედნიერი გამოდგა. იგი სულ მცირე მანძილით ასცდა კარს.

ათიოდე წუთის შემდეგ სტუმრებმა და მათმა გულშემატკივრებმა კიდევ ერთხელ ამოისუნთქეს შვებით: ბურთი მოხვდა ძელს და... მოედნის სიღრმეში დაბრუნდა. მანამდე კი „დინამოს" დაცვა მშვიდად ადევნებდა თვალს ერევნელ თავდამსხმელებს, რომლებიც თავით გადასცემდნენ ბურთს ერთმანეთს.

ერთი სიტყვით, ჯერ მელკუმოვს, შემდეგ კი ეგიაზარიანს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის უდაო შესაძლებლობა, მაგრამ ორივეჯერ სტუმრების კარი იღბლიანი აღმოჩნდა.

თბილისელებს ფაქტიურად არც ერთი საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ, თუმცა ტაიმის დასაწყისს საკმაოდ იმედიანი პირი უჩანდა. „დინამომ" თამაში ჩვეული სტილით წამოიწყო, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ თავდამსხმელები მაინცდამაინც აგრესიულად არ იყვნენ განწყობილნი. მოკლე გადაცემები, რომელსაც ხშირად დასასრული არ უჩანდა, რამდენიმე პარტიზანული შეტევა (ხან გავაშელისა, ხან კი ახათიანის), ერთ-ერთი ლამაზი კომბინაცია და მეტოქეზე უდაო ტექნიკური უპირატესობა, რომელსაც საბოლოო ჯამში გუნდისთვის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა — ასეთი იყო საერთო შთაბეჭდილება.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდმა მაქსიმალურად გამოიყენა მოთამაშეთა შეცვლის უფლება. მასპინძლებმა გააძლიერეს თავდასხმის ხაზი, რადგან ისინი, ბუნებრივია, მოგებას ლამობდნენ. თბილისელებმა შეცვალეს სიჭინავა და ნოდია, მაგრამ პრაქტიკული სარგებლობა არც ამ ღონისძიებებმა მოიტანეს. ორივე მხარეს, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა დაზეპირებული როლები და ყოვლად უკონფლიქტო სპექტაკლის მსვლელობას ინერციით მიჰყვებოდა.

თუმცა, ამ ... შესწორება მაინც ... მომენტებს მეორე ნახევარშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მათი ავტორები კვლავ „არარატის" ფეხბურთელები იყვნენ, რომლებსაც თავიანთი ოსტატობის გამოცდა I ტაიმისაგან განსხვავებულ სიტუაციაში მოუხდათ. ერევნელი თავდამსხმელები ორჯერ აღმოჩნდნენ კოტრიკაძის პირისპირ და ორივეჯერ ზუსტად მას მოარტყეს ბურთი.

ერთი სიტყვით, 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა შედეგით, რომელიც, რა თქმა უნდა, დინამოელებისთვის უფრო ხელსაყრელი იყო (სხვა რომ არა, ისინი ხომ სტუმრად თამაშობდნენ?). სპორტული თვალსაზრისით თბილისელებმა მიზანს თითქოს მიაღწიეს კიდეც (მეტოქეს მის მოედანზე ქულა აართვეს), მაგრამ აქვს კი მორალური ღირებულება ამ გადარჩენილ ქულას?

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# მინიმალური ანგარიშით

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 9 მაისი.
„ტორპედო" (ქუთაისი) — ასკ (როსტოვი) 1:0 (0:0).

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, წვერავა (ქითანავა), ერქომაიშვილი, ჰოლაძე, ვეკუა, ხაჟალია, ხერხაძე (ასიტაშვილი).

ასკ: ბოიჩენკო, კორნეევი, გეტმანოვი, რომანოვი, კრივობოროდოვი, კაზაჩოკი, პოლშჩიკოვი (ანტონოვი), მორდოვსკიხი, კოპაევი, ესკოვი, მატვეევი.

მსაჯი ჰ. სტრენცისი (რიგა).

ბოლო მატჩებში წარუმატებლობის შემდეგ ქუთაისელი ფეხბურთელები სარევანშოდ უნდა ყოფილიყვნენ განწყობილი, მაგრამ მატჩის პირველ ნახევარში მაყურებელმა მსგავსი ვერაფერი იხილა. თამაში ძირითადად მოედნის შუაგულში მიმდინარეობდა, სადაც უპირატესობას მეტწილად სტუმრები ფლობდნენ. ბურთი იშვიათად თუ გადაინაცვლებდა საჯარიმო მოედნებზე და მაშინაც, მცველები, როგორც წესი, გამარჯვებული გამოდიოდნენ თავდამსხმელებთან ბრძოლაში. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ არმიელებს უფრო გამიზნულად გადაჰქონდათ თამაში წინ, სადაც ქუთაისელი მცველები ბურთის უსისტემო მოგერიებით კმაყოფილდებოდნენ.

სწორედ ამით უნდა აეხსნათ ის ფაქტი, რომ შესვენებამდე მხოლოდ 2 საგოლე მომენტი შეიქმნა. პირველი — მე-4 წუთზე, როცა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი კოპაევის ზუსტი დარტყმა ძელს მოხვდა. 25-ე წუთზე კი ხაჟალიამ ძნელი მდგომარეობიდან თავით გაგზავნა ბურთი მეტოქის კარისკენ. ბოიჩენკომ გაჭირვებით მოიგერია იგი.

შთაბეჭდილება ისეთი იყო, რაიმე შემთხვევა რომ არა, მეტოქეები ბურთს ვერ გაიტანდნენ. ასეთი შედეგი სავსებით აწყობდათ სტუმრებს. და მაინც, II ტაიმის დასაწყისში მათ რამდენიმე სახიფათო კომბინაცია განახორციელეს, შემდეგ კი ინიციატივა მთლიანად მასპინძლების მხარეს გადავიდა, სადაც აქტიური და ნაყოფიერი თამაშით გამოირჩეოდა ხაჟალია.

თამაშის დამთავრებას ხუთიოდე წუთი აკლდა, როცა როსტოველთა კართან შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლა ვეკუამ და ძლიერად დაარტყა. ბურთი მოხვდა კარის ზედა ძელს და ბადეში ჩაეშვა — 1:0. ამის შემდეგ ქითანავას კიდევ ერთხელ ჰქონდა ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ ვერ გამოიყენა იგი.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



9 მაისს შედგა რსფსრ-ს III და IV ზონის გუნდების კალენდარული მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ქობულეთიდან...

ადგილობრივმა „შუქურამ" თავის მინდორზე მიიღო სოხუმის „დინამო". ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს მასპინძლებმა. პოლტაჩიდის, კვირკველიასა და შაფათავას რამდენიმეჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ მათი დარტყმები არ იყო ზუსტი. მე-20 წუთზე დინამოელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. შაფათავამ ბურთი გადააწოდა უმეთვალყურეოდ დარჩენილ ურუშაძეს, რომელმაც დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. II ნახევარი ალინიშნა ორმხრივი იერიშებით. ანგარიშის გაზრდა მასპინძლებსაც შეეძლოთ და სტუმრებსაც, მაგრამ თავდამსხმელები ბევრს სცოდავდნენ. გაიმარჯვა „შუქურამ" — 1:0.

ლ. ტრაპაიძე.

### ფოთიდან...

„კოლხეთმა" ამ დღეს თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ახალგაზრდულმა კოლექტივმა გულშემატკივრები გაახარა აზრიანი და ტექნიკური თამაშით. მახარაძის „მერცხალმა" წინააღმდეგობა ვერ გაუწია მასპინძლების თავბრუდამხვევ შეტევებს და ადრე მოაწერა ხელი „კაპიტულაციას". ანგარიში 7:1 ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ „კოლხეთის" ფეხბურთელები ჩინებულ ფორმაში არიან. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს: სუმკომ (2), ძაგანიამ (2), ხოფერიამ, ჯაიანმა და არზიანმა.

ა. ლომაია.

# სტუდენტური ოჯახი

ანდრო ღლონტი 39 წლისაა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების V კურსზე სწავლობს. მისი ტყუპები ნანა და ლევანი ამავე ინსტიტუტის პირველკურსელები არიან.

ანდროს გატაცება 1938 წელს დაიწყო, როცა მამამისმა „კრასნი ოქტიაბრის" მარკის პირველი სამამულო მოტოციკლი იყიდა. ალბათ, სწორედ იმ დღიდან შეუყვარდა მოტოციკლი, რასაც უფრო გვიან მოტოსპორტის და, საერთოდ, სპორტის სიყვარული მოჰყვა.

მაშინ ანდრო 9 წლის ბიჭი იყო. ფიზკულტურის ინსტიტუტში კი 1963 წელს შევიდა. მისი ვაჟი ლევანი საღამოს განყოფილებაზე სწავლობს და თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში მუშაობს ინსტრუქტორად. იგი მამის კვალს გაჰყვა — უკვე ორი წელია ავტოსპორტს მოჰკიდა ხელი. ლევანი „კარტის" სისტემის მცირელიტრაჟიან ავტომობილზე ვარჯიშობს და უკვე წარმატებასაც მიაღწია — პირველი თანრიგი მოიპოვა და საქართველოს ნაკრების წევრია ავტოსპორტში.

ლევანის ტყუპის ცალი ნანა პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშეა, აგერ უკვე რვა წელია მხატვრულ ტანვარჯიშში მეცადინეობს და დღეს ინსტიტუტის ნაკრები გუნდის წევრია.

მამა — თადარიგის კაპიტანი ანდრო ღლონტი — 1950 წლიდან საქართველოს ნაკრების წევრია ავტო-მოტოსპორტში. 1949 წელს იგი თბილისის ოფიცერთა სახლის მოტოგუნდში მიიღეს. აქ მან ერთ წელიწადში შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა 350 კბ სმ კლასის მოტოციკლით. მისი ხელმძღვანელი გამოცდილი მწვრთნელი ვ. სალუქვაძე იყო. 1959 წელს ანდრო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობდა, სადაც საქართველოს გუნდმა III ადგილი დაიკავა სპორტის ტექნიკურ სახეობებში. 1960 წელს ღლონტმა I ადგილი დაიკავა საქართველოს პირველობაზე გამართულ მოტორბოლაში. ა. ღლონტი ბევრი რესპუბლიკური და საკავშირო ასპარეზობის მონაწილეა. მის ოსტატობას სარბიელზე მოპოვებული ბევრი მედალი და საპატიო სიგელი მეტყველებს. 1964 წლიდან ანდრო რალისტია. იმავე წელიწადს მან საქართველოს პირველობაში II ადგილი დაიკავა ვ. სტეფანოვსკისთან ერთად.

საერთო გატაცება ოჯახის წევრებს ხელს არ უშლით თავ-თავის საქმეში. მამა ხანდახან ლექსებს წერს. არსად ბეჭდავს, მაგრამ მისი შემოქმედება დიდი მოწონებით სარგებლობს კოლეგებს — ტაქსომოტორების პარკის მძღოლებს შორის. ლევანი ხეზე ჭრითა და ჭედური ხელოვნებითაა გატაცებული, ნანას ისტორია უყვარს და ინსტიტუტის სამეცნიერო წრის წევრია.

მალე ოჯახის მამას სახელმწიფო გამოცდები დაეწყება. იგი გულმოდგინედ ემზადება, რათა შვილებისთვის ამ საქმეშიც მაგალითი იყოს.

ვ. მელაძე.



სურათებზე: 1. მამა და შვილები ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობასთან. 2. ინსტიტუტში, მეცადინეობის დროს. 3. ანდრო ღლონტი. 4. ლევანი მამის კვალს გაჰყვა. იგი „კარტის" სისტემის მცირელიტრაჟიანი ავტომობილითაა გატაცებული. 5. ნანა. 6. ანდრო, ნანა და ლევანი ნარგავებს უვლიან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.











# საჭიროა ბატუტი

თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და რუსთავის ნაკრები გუნდების 90 აკრობატი მონაწილეობდა ქართველ მეტალურგთა ქალაქში გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა თბილისის პირველმა გუნდმა (საქართველოს დედაქალაქი ორი კოლექტივით ასპარეზობდა), II ადგილი დაიკავა აფხაზეთის ნაკრებმა, III — რუსთავის გუნდმა.

ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს: ვაჟთა ხტომებში — აფხაზეთის წარმომადგენელმა გ. შონიამ (74,45 ქულა), ქალებში — მისმა თანაგუნდელმა ა. პოლოსიანმა — 73,7. შერეულ წყვილებში უძლიერესი იყვნენ თბილისელები ა. მელოიანი და ვ. იამალაშვილი—75,15. ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაც თბილისელთა — თ. ლომთაძისა და ვ. გაფრინდაშვილის გამარჯვებით დამთავრდა — 146,2. ბატუტზე უძლიერესი აღმოჩნდა ვ. ბასიუკი (თბილისი) — 27,2. ჯგუფურ ვარჯიშებში პირველობა არავის დაუთმო თბილისის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ს. დელიმალტოვი, ა. თედეევი, თ. ხუდოევი და პ. სლივკოვი.

8 სპორტსმენმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, ოთხმა კი სპორტის ოსტატობის კანდიდატისა.

თუ ბატუტზე შეჯიბრებას არ ვიგულისხმებთ, პირველობა საინტერესოდ წარიმართა. საქმე ის არის, რომ ბატუტი არა თუ ძირეულ კოლექტივებს, არამედ ნაკრებ გუნდსაც კი არ გააჩნია და რასაკვირველია, ამ იარაღზე წარმატებას ვერ მივაღწევთ. მაისის ბოლო რიცხვებში ჩვენი გუნდი კიევში გამართულ საკავშირო პირველობაში მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს წარმომადგენლებს საპატიო ადგილზე გასვლის იმედი აქვთ, მაგრამ ბატუტზე მოვარჯიშეებს ძალიან გაუჭირდებათ, ვინაიდან უკრაინის დედაქალაქში რამდენიმე დღის მანძილზე ვარჯიში სასურველ შედეგს, ცხადია, ვერ მოგვიტანს.

მ. ქელეხსაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზიური პალიტრა

თბილი, მზიანი დღე გათენდა პირველ მაისს სოხუმში. ტრადიციით, სწორედ დღესასწაულს დაუკავშირეს საზაფხულო სეზონის გახსნა დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის სოხუმის საზღვაო კლუბისა და სპორტულ-ტექნიკური კლუბის „იუგის" სპორტსმენებმა.

სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე 100-ზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა მოიყარა თავი. სპორტსმენებს მიესალმა დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ანცუპოვი. ალმის აღმართვის პატივი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრებს რ. მიროშნიჩენკოსა და ვ. შატორენკოს ხვდათ.

12 საათზე სარბიელზე გამოვიდნენ ოთხ და ექვსნიჩბიანი საზღვაო კარჭაპები. დისტანცია ერთი საზღვაო მილი იყო. სტარტი პირველად საზღვაო კლუბისა და ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლებმა აიღეს.

უკვე შუა დისტანციაზე წინ გაიჭრა საზღვაო კლუბის კარჭაპი, რომელსაც ვ. შატორენკო მართავდა. 5 წუთისა და 10 წამის შემდეგ კარჭაპმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა.

შემდეგ სტარტი ჭაბუკებმა — სოხუმის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა აიღეს. I ადგილზე გავიდნენ მე-16 სკოლის წარმომადგენლები (უფროსი ა. ბელიმა), II — მე-4 სკოლის ნიჩბოსნები (ვ. ფედჩენკო), III — მე-2 სკოლის სპორტსმენები ვ. ხარიტიდის მეთაურობით.

ყველაზე უმცროსები 500 მეტრზე ასპარეზობდნენ ოთხნიჩბიანი კარჭაპებით. აქ ყველას აჯობეს მესამესკოლელებმა (მესაჭე გ. ასლანიანი).

ამასობაში სარბიელზე გამოსასვლელად ემზადებოდნენ სკუტერები, ძრავიანი ნავები, გლისერები, კატარღები. ახალგაზრდა სპორტსმენებს კლუბში დამტკიცებული მოდელების მიხედვით აგებული ნავები უნდა გამოეცადათ.

შეჯიბრება წრეში ტარდებოდა. „სა-250" კლასის სკუტერებით ყველას აჯობა ვ. რომანოვმა, „მა-250" კლასის ძრავიანი ნავებით — ვ. მეჟოვმა, „გვ-350" კლასის გლისერებით — ნ. სიდიროპულომ. „კ-02" კლასის კატარღებით გაიმარჯვეს მ. პოლიტიკომ და ა. პოკატილომ.

დასასრულ სტარტი აიღეს აფრიანმა კარჭაპებმა, რომლებიც 3 მილზე ორ რბოლაში მონაწილეობდნენ. აქაც პირველნი იყვნენ საზღვაო კლუბის გამოცდილი სპორტსმენები (მესაჭე ვ. შატორენკო, გუნდის წევრები: ა. არომიანი, ი. ლუშკოვი, ვ. ლუკიანჩუკი, ი. ელეფთეროვი, გ. ილინი, ი. გასპარიანი).

ზეიმის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულებს ჯილდოები გადაეცათ.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

* * *

**სურათებზე:** ნიჩბოსნები დისტანციაზე; აფრიანი კარჭაპები; სკუტერები რბოლის დროს.

ფოტო ავტორისა.

# ფინალი — 8 ივნისს

ფეხბურთელთა ევროპული ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპის — ნახევარფინალებისა და ფინალის ჩატარება იტალიას ჰქონდა დავალებული. იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები მთავარი ბრძოლების მიღმა აღმოჩნდებოდა, იტალიელები ტურნირის ორგანიზაციის უფლებას გადასცემდნენ სხვა ქვეყანას. მსურველები იყვნენ: ინგლისი, შოტლანდია და ესპანეთი.

მაგრამ იტალიელებმა წარმატებით განვლეს მეოთხედფინალური ზღურბლი და ნახევარფინალში გავიდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპული ფორუმის დასკვნითი ნაწილი სწორედ ამ ქვეყანაში ჩატარდება.

ამ დღეებში იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 5 ივნისს, ფინალი კი 3 დღის შემდეგ. იტალიის ეროვნული ნაკრები და სსრ კავშირ — უნგრეთის მატჩში გამარჯვებული იასპარეზებენ ნეაპოლში, ხოლო იუგოსლავიის ფეხბურთელები და მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისის ნაკრები — ფლორენციაში. 8 ივნისს რომში შედგება ფინალი.

# ევროპის ჩემპიონის მარცხი

მადრიდი, 9 მაისი. გუშინ აქ „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთისა და ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდები (პირველი ბრძოლა ლონდონში, როგორც ცნობილია, ინგლისელებმა მოიგეს 1:0). შეხვედრას 100 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. მსოფლიო ჩემპიონს ავადმყოფობის გამო აკლდა ხუთი ძირითადი მოთამაშე: ბენქსი, კოენი, ჯ. ჩარლტონი, სტაილსი და ჰერსტი.

მატჩი ესპანელთა თავბრუდამხვევი შეტევებით დაიწყო და უნდა ითქვას, ეს შტურმი შესვენებამდე არ შენელებულა. ყოველ ორ-სამ წუთში ინგლისელთა კარი ხიფათის ქვეშ იყო. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს აშკარად სწყალობდა ბედი. ამასთან, მის კარს შესანიშნავად იცავდა ბონეტი. ინგლისელები I ტაიმში ეპიზოდურად უტევდნენ და მაინც, მასპინძლების კარი სულ ცოტა, ხუთჯერ ბეწვზე გადარჩა.

II ნახევარი კვლავ ესპანელთა შტურმით დაიწყო, რომელიც 47-ე წუთზე გოლით დაგვირგვინდა. ბურთი გაიტანა ამანსიომ გალიეგოს მოწოდებიდან. ამის შემდეგ თამაშში უკვე ესპანელთა მეკარეც ჩაება, რომელმაც 52-ე და 53-ე წუთებზე ძნელი დარტყმები მოიგერია ბოლისა და ჰანტისაგან ერთი წუთის შემდეგ კი ევროპის ჩემპიონის კართან გათამაშთა კუთხური და პიტერსმა აღადგინა წონასწორობა — 1:1.

დაშავდა ესპანელთა ცენტრალური მცველი გალიეგო, რომელმაც ფორმალურად თავდასხმაში გადაინაცვლა. მასპინძლები კვლავ გამუდმებით უტევდნენ და მსოფლიო ჩემპიონმა კი მეორე ბურთი გაიტანა. ეს მოხდა 81-ე წუთზე, როცა ჰანტერმა ზუსტად გამოიყენა ჰანტის გადაცემა.

სპორტულმა კომენტატორებმა მატჩი ასე შეაფასეს: ე. მარინიასი (ესპანეთი) — „თამაში მთლიანად ჩვენი იყო. ესპანელები უფრო სწრაფად მოქმედებდნენ, მაგრამ მათ ბედმა არ გაუღიმა. კარგად ითამაშეს მსოფლიო ჩემპიონებმაც. განსაკუთრებით მომეწონა ბოლი და პიტერსი".

ა. კლარკი (ინგლისი) — „თამაშის სადავეები ხელთ ეპყრათ ინგლისელებს, თუმცა დროის 90 პროცენტი ესპანელებმა შეტევებში გაატარეს. ჩვენი ბიჭები თამაშობდნენ ზუსტად და აუღელვებლად. არასდროს მინახავს ინგლისელთა დაცვის ასეთი თავგანწირვა. ჩვენ 5 მოთამაშე გვაკლდა, მაგრამ გუნდი აწყობილი მექანიზმივით მოქმედებდა.

**ესპანეთი:** სადურნი, საესი, გალიეგო, კანოსი, პირი, სოკო, რიფე, ამანსიო, გროსო, ველასკესი, ჰენტო.

**ინგლისი:** ბონეტი, ნიუტონი, ლებონი, უილსონი, მალერი, მური, ბოლი, პიტერსი, რ. ჩარლტონი, ჰანტი, ჰანტერი.

# ჰერსტი მოითხოვს ფსიქოლოგს

**პოპულარულმა** ინგლისელმა ფეხბურთელმა ჯ. ჰერსტმა ამას წინათ გამოსცა წიგნი, რომელსაც „მსოფლიო ჩემპიონატი" ეწოდება. ჰერსტი ეხება განვლილ მსოფლიო ჩემპიონატს, სადაც მან 3 გოლი გაიტანა და მომავალ გათამაშებას მეხიკოში. ჰერსტის აზრით, ადრე ბრაზილიელებს დიდი სარგებლობა მოუტანა ექიმმა-ფსიქოლოგმა და ასეთივე კაცი ესაჭიროება ინგლისის ნაკრებს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

# თასების მფლობელთა თასზე

გასულ ოთხშაბათს მიუნჰენში გაიმართა თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „ბაიერნსა" და იტალიის „მილანს" შორის (პირველი შეხვედრა „მილანმა" მოიგო 2:0). „ბაიერნის" წინაშე რთული ამოცანა იდგა: მას მეტოქისთვის 3 ბურთის სხვაობით უნდა მოეგო. „მილანის" მწვრთნელმა თამაშში 5 პირველხარისხოვანი მცველი გამოიყვანა (ანკუილეტი, ტრაპატონი, მალატრაზი, როზატო, შნელინგერი). „ბაიერნის" ვარსკვლავთა (ბეკენბაუერი, მიულერი, როტი, ბრენინგერი) შეტევები უშედეგო აღმოჩნდა. კიდევ მეტიც, მილანელებს რივერას, ჰამრინსა და პრატის გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობაც კი ჰქონდათ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. „მილანი" გავიდა თასის გათამაშების ფინალში, სადაც შეხვდება გფრ-ის „ჰამბურგერ შპორტფერაინს".

# ფრე კარდიფში

კარდიფში „ნინიენ-პარკის" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი უელსისა და გფრ-ის ნაკრებ გუნდებს შორის. მე-10 წუთზე გერმანელმა ოვერატმა ლამაზი გარღვევა გოლით დააგვირგვინა. შესვენებამდე უელსელმა რ. დეივისმა საპასუხო ბურთი გაიტანა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

# იტალიელთა მაგალითით

**იტალიელთა** მაგალითით ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვეტილება მიიღო აკრძალოს უცხოელი ვარსკვლავების იმპორტი 1970 წლამდე. ადრინდელი აკრძალვის ვადა ივლისში გადიოდა და ზოგ მოწინავე კლუბს იმედი ჰქონდა შეევსო თავისი რიგები უცხოელების ხარჯზე. „რეალის" მწვრთნელი მუნიოსი, მაგალითად, უკვე მოლაპარაკა განთქმულ არგენტინელ ფეხბურთელებს არტიმესა და ონეგას. მუნიოსმა განაცხადა კიდეც, რომ „სისხლის გადასხმის" გარეშე „რეალი" ვერ შეძლებს თავისი პოზიციების შენარჩუნებას ევროპულ ფეხბურთში. ახლა „რეალის" მწვრთნელის იმედები აშკარად გაცრუვდა.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ განმარტა, რომ კლუბებს არავინ უშლის იყიდონ უცხოელი ფეხბურთელები, მაგრამ მათ ვერ გამოიყენებენ ესპანეთის ჩემპიონატში. ასეთ პრაქტიკას ახლა ზოგი იტალიური კლუბიც მიმართავს, მაგრამ ეს აშკარად არარენტაბელურია.

# ახალი ეუსებიო?

**ლისაბონის** „სპორტინგის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მან შეძლო ეპოვნა... ეუსებიო! ეს ახალი ეუსებიო გახლავთ კონგოს (კინშასი) ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ნგუნზა, რომელმაც ამ დღეებში მოაწერა ხელი კონტრაქტს ლისაბონის „სპორტინგთან".

„სპორტინგის" მწვრთნელების აზრით, ნგუნზა არაფრით ჩამოუვარდება თავის მოზამბიკელ კოლეგას. ახლა „სპორტინგს" იმედი აქვს ისეთივე წარმატებებს მიაღწიოს ევროპულ ასპარეზზე, როგორსაც აქამდე ეუსებიოს მეშვეობით აღწევდა „ბენფიკა".

# მოკლედ

● **მაინის ფრანკფურტი.** გამოჩენილმა უნგრელმა სპეციალისტმა, 60 წლის ე. შვარცმა განაცხადა, რომ აღარ განაახლებს ხელშეკრულებას ადგილობრივ „აინტრახტთან". შვარცს მოწვევა მოუვიდა „ინდეპენდიენტესა" (ბუენოს-აირესი) და „ანდერლეხტისგან" (ბრიუსელი).

● **ნიუ-იორკი.** უცხოელ ფეხბურთელთა მასობრივი იმპორტი აშშ-ს ლიგაში გრძელდება. აქ გამოცხადდა, რომ „ლოს-ანჯელოს ვოლვეს კლუბში" ჩაირიცხა ლონდონის „ფულჰემის" 2 ახალგაზრდა თავდამსხმელი, 20 წლის კუნინგემი და 18 წლის ჰიულისტონი.

● **ციურიხი.** აქ გამოცხადდა, რომ სადღეისოდ ფიფა-ს 134 წევრი ჰყავს.

● **ბელგრადი.** „პარტიზანმა" ათწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი მწვრთნელ ს. ბობეკთან. ეს უმაგალითო შემთხვევაა პროფესიული ფეხბურთის ისტორიაში. როგორც ცნობილია, ადრე ბობეკი თვით იყო „პარტიზანის" მოწინავე მოთამაშე, შემდეგ კი ათენის „პანათინაიკოსის" მწვრთნელი. შარშან ბობეკი ისევ „პარტიზანს" დაუბრუნდა.

● **მადრიდი.** ადგილობრივი „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ ამ გუნდის თვითეული ფეხბურთელი დააჯარიმა 250 დოლარით არასაკმარისად ენერგიული თამაშისთვის.

● **რომი.** იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ 2 ათასი დოლარით დააჯარიმა „მილანი", რომლის მინდორზე „კალიარისთან" შეხვედრის დროს დიდი უწესრიგობა იყო და არბიტრს მაყურებლებმა ბოთლები დაუყარეს.

# ხბილი ამბები

● **ბერლინი**, 9 მაისი. დღეს აქ დაიწყო მშვიდობის XXI ველორბოლა, რომელშიც 18 ქვეყნის 107 სპორტსმენმა აიღო სტარტი. ველორბოლის პირველი ეტაპი ასეთი იყო: ბერლინი—ოდერის ფრანკფურტი—ბერლინი (170 კმ). ეტაპი მოიგო პოლონელმა ზ. კნაიუნიკმა. პოლონელებსვე დარჩათ გუნდური გამარჯვება. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო ა. კულიბინი ფინიშზე მეოთხე იყო.

● **პარიზი**, 9 მაისი. სამთომთხილამურეთა მსოფლიო თასი მოიპოვეს: ვაჟებში — ფრანგმა ჟ. კ. კილიმ, ქალებში — კანადელმა ნ. გრინმა. საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტმა მ. ხოდლერმა პრიზების გადაცემისას სინანულით აღნიშნა, რომ ორივე სპორტსმენი ტოვებს სამოყვარულო სპორტს.

● **სოფია**, 9 მაისი. ევროპის ჩემპიონატის პრიზიორის — გდრ-ის წყალბურთელთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა აქ გამართული საერთაშორისო ტურნირი. მომდევნო ადგილები დაიკავეს იუგოსლავიის (II), პოლონეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის (II) ეროვნულმა გუნდებმა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე

# თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ბადმინტონი.** ლენინის სახ. სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **11-13 მაისი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 17 ს.

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის" სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. II ჯგუფი. დღეს „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ფოლადი" (სუმგაითი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

**კლასიკური ჭიდაობა.** სპორტის სასახლე. **12 მაისი. საერთაშორისო შეჯიბრება. საქართველო — იუგოსლავია.** დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 9 უე 03234